საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო სანდოძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**17**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ნინო სანდომის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ნინო სანდომე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი - ნინო სანდოძე

ასაკი: 47 წლის

დაბადების თარიღი: 18 ოქტომბერი 1973წ.

განათლება: თბილისის ეკონომიკის სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 20 წელი

სამუშაო ადგილი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ნინო სანდოძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: თავმდაბლობას, მოსმენის უნარს, პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს, პუნქტუალურობასა და შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, თავდაჭერილობას. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.
- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. გამოარჩევენ მის კომპეტენტურობას, დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, მაღალ კვალიფიკაციასა და ანალიტიკური აზროვნების უნარს.

- ნინო სანდომეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ნინო სანდომეს 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით უფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები:

- ასკ მუხლი 125, ნაწ. 6 („საგზაო ნიშნის წესების დარღვევა" - ჯარიმა 20 ლარი. ოთხი შემთხვევა).
- ასკ მუხ. 1252- ი ნაწ. 1(„დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა" ჯარიმა 10 ლარი. ერთი შემთხვევა).
- ასკ მუხლი 125, ნაწ. 62 (გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა - ჯარიმა 50 ლარი; ოთხი შემთხვევა).

მოძიებული და შესწავლილი ინფორმაცია მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.;

მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ანდა მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრების დროს გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით მივიჩნევ, რომ აზრის გამოხატვის პროცესში კანდიდატი არის ღია და გახსნილი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი მაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ ის არის მედეგი, შეუვალი და არ განიცდის შიშს კრიტიკის მიმართ.

რაც მაძლევს საფუძველს კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ნინო სანდოძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, ნინო სანდოძე მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით:
დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ნინო სანდოძის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

არაეთიკური ან არაკორექტული ქცევა კანდიდატის მხრიდან არ გამოვლენილა. არის გაწონასწორებული, თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის კარგი უნარი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, ობიექტურობას, კოლეგიალურობას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებას და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი არ იქნა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და რეპუტაცია. ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, ნინო სანდოძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა ნინო სანდოძის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/305-18, 2018 წლის 18 ოქტომბერი, კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილი (ორი ეპიზოდი), სასჯელის სახე - ჯარიმა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/3-----, 2018 წლის 20 დეკემბერი, კვალიფიკაცია: წარდგენილი ბრალდების

მიხედვით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/549-19, 2019 წლის 3 ივნისი, კვალიფიკაცია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/2013-19, 2020 წლის 10 მარტი, კვალიფიკაცია: წარდგენილი ბრალდების მიხედვით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ[1]“ და „ვ“ ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/181-13, 2020 წლის 12 მარტი, კვალიფიკაცია: წარდგენილი ბრალდების მიხედვით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,353[1] მუხლის მე-3 ნაწილი. სასჯელი: დანაშაულთა ერთობლიობით - უვადოდ თავისუფლების აღკვეთა.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ კანდიდატი ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა. იგი ასევე იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და სამოსამართლო საქმიანობაში სწორად იყენებს მათ.

გასაუბრების ეტაპზე, სამართლის მიერ ხელისუფლების ბოჭვის პრინციპზე დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა გამოავლინა საკითხის ღრმა ცოდნა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების („ქებურია პარლამენტის წინააღმდეგ“) თაობაზე დასმულ კითხვაზე, რომელიც ეხებოდა ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის საკითხებს, კანდიდატი ღრმად და ამომწურავად შეეხო ყველა ასპექტს, გამოავლინა ლოგიკური მსჯელობისა და საკითხის ღრმა გააზრების უნარი.

კანდიდატმა დამაჯერებლად იმსჯელა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუზე, მისი არგუმენტები გამყარებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარი ნათლად ჩანს მის მიერ რამდენიმე საკვანძო საკითხის განხილვისას. ამაზე მეტყველებს მის მიერ განვითარებული კონსტრუქციული მსჯელობა ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ საქმეებთან მიმართებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატი შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი პასუხებით, მაგ.: სიღრმისეულად არ ისაუბრა აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე, კანდიდატმა ამომწურავი პასუხი არ გასცა ობიექტური შერაცხვის პრინციპთან დაკავშირებულ შეკითხვას, ასევე

ამომწურავი არ იყო პასუხი სამსახურებრივ მფარველობასა და აკრძალულ საჩუქარს შორის განსხვავებაზე დასმულ შეკითხვაზე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 17 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

ნინო სანდომეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება, რაც მიუთითებს მის მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციაზე. გადაწყვეტილებები (განაჩენები) სტრუქტურიზირებულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, არის დასაბუთებული, თანმიმდევრული და მარტივად აღქმადი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო -18 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

აღნიშნული უნარის შეფასებისას გავითვალისწინე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენები და ვთვლი, რომ კანდიდატს გადაწყვეტილებები (განაჩენები) ძირითადად მიღებული აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით, გადაწყვეტილებებში იგი ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, გადაწყვეტილებები არის სტრუქტურირებული, საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული და მარტივად აღქმადი. ძირითადად სწორადაა გამოყენებული პუნქტუაციისა და მართლწერის წესები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

ნინო სანდომე აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, ამავდროულად გააჩნია მოსმენის კულტურა. გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი იყო ღია და გახსნილი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ნინო სანდომის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 96,3%, შეცვლილი -3,7%
- საანგარიშო პერიოდში (986 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 284 საქმე, დღეში საშუალოდ 0,3 საქმემდე.

საქმეთა განხილვის ვადები, საქმეთა სტაბილურობის მაჩვენებელი, მაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ კანდიდატი არის კარგად ორგანიზებული, დროს იყენებს ეფექტურად, აქვს კარგი მენეჯმენტი, საქმის მასალებს სწავლობს დეტალურად და ასევე დეტალურად ასახავს გადაწყვეტილებებში. პროცესის მონაწილეთა მიმართ მისი მხრიდან არაჯეროვანი დამოკიდებულება არ გამოვლენილა. **აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.**

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი აქტიურად ესწრება კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს და სემინარებს, თუმცა რიგი სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით, აკადემიური მიღწევების არქონა, არ მაძლევს მისი უმაღლესი ქულით შეფასების შესაძლებლობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 **ქულით.**

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამოსამართლო უფლებამოსილებათან ერთად კანდიდატი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.

კანდიდატს სამართლებრივი ნაშრომები არა აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 **ქულით.**

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 90 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.